ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6399059

ნომერი: AR1958594

თარიღი : 03.04.2023

გაცემის თარიღი : 10.04.2023

გაცნობის თარიღი : 10.04.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი III , N 6გ-ს მოპირდაპირედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , მიმდებარედ (ნაკვეთი 10/093); ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- უჩა ჩახვაძე პ/ნ 35001107723
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ოთარ ჩხეიძეს ქუჩა, N 3

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, დიღმის მასივი III კვ , N 6 მოპირდაპირედ; ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 10/093) შ.პ.ს "მტკვრისპირი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N 01.13.03.010.133) დროებითი (საძირკველის არ მქონე) ჯიხურის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882023178986 09/03/2023წ. საკადასტრო კოდი N 01.13.03.010.133, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, დიღმის მასივი III კვ , N 6 მოპირდაპირედ; ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 10/093) შ.პ.ს "მტკვრისპირი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N 01.13.03.010.133) დროებითი (საძირკველის არ მქონე) ჯიხურის მოწყობის შესაძლებლობას.
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან)1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.